ევა ც. ბანჰოლცერი
(ავსტრია)

სიმღერა ზღვარზე:
მთამსვლელები როგორც იოდლერები – იოდლერები როგორც მთამსვლელები

შესავალი

წარმოდგენილი ესეს ყურადღების ცენტრში არიან *Steiner Sänger* gretl Staineri (Gretl Steiner) (1924-2013) და ჰელი გებაუერი (Heli Gebauer) (1926-2007) სახელგანთქმული შტირიელი მომღერლების და მთამსვლელელების ოჯახი რამსაუ ამ დაშტაინიდან. მათი იოდლური რეპერტუარი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის საველე კვლევის ცენტრში იყო (1999-2003), ნაშრომის ხელმძღვანელები იყვნენ გერლინდე ჰაიდი (Gerlinde Haid) (1943-2012) და რუდი პიჩი (Rudi Pietsch) (1951-2020). ამ სტატიაში შევეცდები ერთმანეთს დავუახლოვო მოღვაწეობის ორი ტრადიციული და კულტურულად მნიშვნელოვანი სფერო, რომლებიც გრეტლის და ჰელის ცხოვრების მთავარი საქმე იყო. ჯერ ძალიან მოკლედ დავახასიათებ იოდლინგს შტირიაში როგორც მუსიკალურ ფენომენს და შემოგთავაზებთ *Steiner Sänger*-ის ბიოგრაფიულ ნარკვევს. ვაღიარებ, რომ ნაშრომს უფრო მომღერალ-შემსრულებელის და მუსიკოსის პოზიციიდან ვწერ, რადგან ჩემი როგორც მთამსვლელის გამოცდილება არ აღემატება საშუალო ავსტრიელის გამოცდილებას, რომელსაც უყვარს ლაშქრობა და თხილამურებით სრიალი შვებულების დროს.

იოდლი შტირიაში

იოდლინგი განიხილება როგორც ტრადიციული ალპური საზოგადოების განუყოფელი შემადგენელი და, თავისი სოციალური და ესთეტიკური ფუნქციებით, სოფლის მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში ღრმად ფესვგადგმული უწყვეტი ტრადიციის ნაწილია. გამოხატვის რამდენიმე სპეციფიკური საშუალების გარდა, შტირიული იოდლინგის ძირითადი მახასიათებლები ისეთივეა, როგორც ავსტრიის სხვა რეგიონალური იოდლინგის ტრადიციებისა; მაგალითად:

- **სიმღერები, რომლებიც რეგისტრს იცვლიან** მკერდის და თავის ხმის სწრაფი მონაცვლეობით, რითაც ხმას ანიჭებენ ტიპურ მკვეთრ ტემბრს, დაკავშირებულს
- ტექსტთან, რომელიც ემყარება სპეციფიკურ მარცვლებს, რომლებსაც სემანტიკური მნიშვნელობა არ აქვთ, მაგრამ იყენებენ თავის ფონეტიკურ მახასიათებლებს, როგორებიცაა მუქი ხმოვანები მაგ. Ho da re მკერდის რეგისტრისთვის და მსუბუქ ხმოვანებს i dü ფალცეტის რეგისტრისთვის. იოდლერი ამ მახასიათებლებს იზიარებს ტრადიციულ მწყემსის მოძახილთან.
- **ორი, ძირითადად, სამ-ნაწილიანი სიმღერა** მჭიდრო ტექსტურით პარალელური ან კონტრაპუნქტული მოძრაობებით, რომელიც ასახულია მაღალგანვითარებულ ემიკურ ტერმინოლოგიაში
- **გატეხილ აკორდებზე დამყარებული მელოდია** ძირითად ტონალობაში, რომელიც მიყვება
- ტონალობის და მეშვიდე აკორდის მონაცვლეობის **დომინანტ ჰარმონიულ** მოდელს და მის ვარიანტებს (I-V^7 — V^7 — I ან V–I — V–I)
- ტიპური ფორმაა რვა-ტაქტიანი პერიოდი ანტეცენდით და კონსეკვენტით (Vordersatz და Nachsatz). აუცილებელი არ არის ამ ტერმინების გაგება ჰარმონიულად, მაგრამ ალპური საცეკვაო მუსიკის — *Ländler* 4+4 ან 8+8 ტაქტით — ანალოგიით შეიძლება

გავიგოთ სინტაქსურად (Deutsch და Gschwandner, 1994: 49f.)

- უოლტერ დოიჩის თანახმად, ტიპური აღმოსავლეთ ალპური იოდლერი შეიძლება აღვწეროთ როგორც **მუსიკალური თამაში** (Deutsch, 1975: 649), რომელშიც სოლისტები ასრულებენ ინდივიდუალურ პარტიებს (არა-საგუნდო არანჟირება) ტენდენციით რუბატოსა და ორნამენტული ვარიაციებისკენ კამერული მუსიკისმაგვარი ინტერაქციის სპეციფიკური წესების შესაბამისად.

გერლინდე ჰაიდი გამოჰყოფს დიალოგურ ელემენტს იოდლში და სხვა მრავალნაწილიან შესრულებაში: „მაშასადამე, მინდა დავამატო ტერმინი „დისკურსული“ მრავალნაწილიან სიმღერას (დისკურსული საუბრის სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობის აზრით)“ (Haid, 2011, 154, იხილეთ, ასევე, Nußbaumer, 2013, 50). ჰაიდი, ასევე, ხაზს უსვამს კომპეტენტური მსმენელის როლს (1978: 120), რომლებისკენაცაა იოდლი ტიპურად მიმართული. თომას ტურინოს სიტყვებით, იოდლინგი დიდწილად *პრეზენტაციული შესრულებაა*[1].

სანამ გაგიზიარებთ ჩემს ზოგიერთ მოსაზრებას იოდლინგსა და მთამსვლელობას შორის კორელაციის შესახებ, ნება მომეცით გაგაცნოთ ამ გამორჩეული ხელოვანების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები[2].

„ჩვენი ცხოვრება მთებში ხეტიალსა და სიმღერაში გავლიეთ“: *Steiner Sänger*

როგორც კულტურული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების მატარებლები, *Steiner Sänger* დღეს იოდლინგის შტირიული ტრადიციის ნამდვილ განსახიერებად განიხილებიან. მათი სტილის და რეპერტუარის კონცეფცია აშკარად დაკავშირებულია დაშტაინის, ავსტრიული ალპების თვალწარმტაცი მწვერვალის მიდამოებთან, რომელიც მაგნიტივით იზიდავს მთამსვლელებს მთელი მსოფლიოდან და გამოწვევაა სამთო სპორტის მოყვარულებისა და მთამსვლელებისთვის.

ზემო ენსტალი, განლაგებული შტირიის ჩრდილო-დასავლეთით ცენტრალურ ავსტრიაში, გრეტლ შტაინერის მშობლიური მხარეა, სადაც ის ალპინიზმის პიონერების, ტრადიციული სამრეწველი ხელოსნების და გამორჩეული მომღერლების და ასეთივე მუსიკოსების ოჯახში დაიბადა. მამამისმა სახელგანთქმულმა მომღერალმა და სამთო გამყოლმა დააარსა მაუდის ქსოვილი ქარხანა, რომელიც ახლაც ავსტრიის საუკეთესო სატექსტილო ფაბრიკებს შორისაა.

ფინანსურმა დამოუკიდებლობამ მას შესაძლებლობა მისცა, თავისი განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის და პირადი ინტერესების შესაბამისად, თავგადაკლული მთამსვლელის და აღიარებული მომღერლის თავისუფალი ცხოვრებით ეცხოვრა. ამავე დროს, გრეტლი, რომელიც კულტურის აქტივისტი გახდა, მუდმივ კონფლიქტში იმყოფებოდა საკუთარი სოციალური გარემოს ცხოვრების წესთან, საკუთარ ოჯახთან, რომელიც ხელოსან-მეწარმეთა წრეს მიეკუთვნებოდა და, ასევე, თავისი გარემოს სოფლის მეურნეობით დაკავებულ პროტესტანტ მოსახლეობასთან. ეს შეესაბამება ჰენრი გლასის (Henry Glassie) დაკვირვებას, რომ მრავალი შემოქმედი შემსრულებელი ვერ ეგუება თავიანთი ადგილობრივი თემის სოციალურ ნორმებს (Glassie, 1970: 49—50). ამ კონტექსტში საუბრობს კოლინ ქვიგლი (Colin Quigley) დევიანტური ჰიპოთეზის შესახებ (Quigley, 1995: 257).

---

[1] ტურინომ ინგლისურენოვან ეთნომუსიკოლოგიაში შემოიტანა ტერმინი რეპრეზენტაციული მუსიკა მონაწილეობითი მუსიკის (representative vs, participatory) საპირისპიროდ. თუმცა მარჩელო სორკე კელერმა (Marcello Sorce Keller, 2010) ნათელყო მისი ღრმა ფესვები კონტინენტურ ევროპულ მუსიკოლოგიაში.

[2] ამ მომღერლების ბიოგრაფია და მათი განსაკუთრებული საშემსრულებლო სტილი და რეპერტუარი უფრო დეტალურად სხვაგან განვიხილე (Banholzer forthcoming). აქ მკითხველი, ასევე, იპოვის რამდენიმე იოდლის ტრანსკრიფციის განხილვას.

გრეტლის საოცარი მუსიკალურობის, თავისუფალების სულისკვეთებით გამსჭვალული გონების, პროფესიონალიზაციისადმი მისი არაორდინალური და იუმორით სავსე მიდგომის და საკუთარი თავის როგორც „ველური ბუნებრივი მომღერლის“ ირონიული თვით-პრეზენტაციის გამო ის, უკვე ასაკოვანი, მომღერალ მეგობრებთან და თავის ცხოვრების მეგზურ ჰელი გებაუერთნ ერთად, ფოლკლორული ფესტივალების და რადიოგადაცემების აღიარებული სუპერვარსკვლავი გახდა. თავისი მომავლ მუსიკალურ პარტნიორს და ცხოვრების მეგზურს ჰელი გებაუერს გრეტლი მთებში ლაშქრობისას შეხვდა, როცა მათ ის-ის იყო ოც წელს გადააბიჯეს და მაშინვე, მთის წვერზე პირველი იოდლის შესრულებისას სულიერი ახლობლობა იგრძნეს. ჰელიც მუსიკალური ოჯახის წარმომადგენელი იყო, თუმცა ის მუშათა წრეს მიეკუთვნებოდა და თავის 19 და-ძმასთან ერთად ადრევე მოუწია შრომა სარჩოს მოსაპოვებლად. ჰელი ცნობილი მომღერალი და თვითნასწავლი მუსიკოსი იყო, ის უაღრესად პატივსაცემ სამთო გამძღოლად ჩამოყალიბდა და მუშაობდა როგორც ავსტრიაში, ასევე საზღვარგარეთ. მთელი ცხოვრების განმავლობაში თოკში ჩაბმული გუნდი, გრეტლი და ჰელი გამუდმებით აფართოებდნენ საკუთარ ჩარჩოებს როგორც საოციალურად, ასევე, მუსიკალურად (სურ. 1).

იოდლინგი და მთამსვლელობა: პარალელები და განსხვავებები

იოდლის შესრულების ზემოთ აღწერილი ტიპი მასში ჩართული ინდივიდებისგან გარკვეულ თვისებებს მოითხოვს:

- გამოცდილება და გამომგონებლობა
- საშემსრულებლო უნარების და კულტურული ჩარჩოს ცოდნა
- გამბედაობა და თავდაჯერებულობა
- ფიზიკური და მენტალური ვარჯიში
- გამახვილებული აღქმა და რეაგირება
- შესაძლებლობების მიმართულების შეგრძნება გარკვეულ გარემოში
- როგორც დაძაბულობის, ასევე სილაღის შეგრძნება
- ინდივიდუალური პარტიების დამატებითი ფუნქციებისათვის თავის გართმევის უნარი (სტაბილურობა და ცვალებადობა)
- პასუხისმგებლობა საკუთარ თავსა და თანამონაწილეებზე
- მოულოდნელობებზე რეაგირების უნარი

ზუსტად იგივე თვისებებია საჭირო წარმატებული თანამშრომლობისათვის მთაში ლაშქრობისას. შემთხვევითი არაა, რომ როგორც გრეტლმა მითხრა, მრავალი გამოცდილი მთამსვლელი წარმატებული იოდლერია და პირიქით. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს რაიმე დეტერმინიზმს ამ ორ სფეროს შორის ერთი ან მეორე მიმართულებით. იგივე თვისებებია საჭირო ადამიანთა სოციალურ აქტივობებშიც, რომლებსაც არც სიმღერასთან აქვს რაიმე საერთო და არც სპორტთან. თუმცა, სავარაუდოა, რომ შტირიელი შემსრულებლები იოდლინგს და მთამსვლელობას თითქმის ერთნაირად გაიაზრებენ.

იოდლერები და მთამსვლელები: ემიკური განცხადებები

ჩემი კვლევის სფეროს წყალობით, კორელაცია იოდლინგსა და მთამსვლელობას შორის ჩემთვის ნათელი გახდა იმ უამრავი განცხადებიდან, რომლებიც ადგილობრივი შემსრულებლებისაგან მოვისმინე, როცა მათ ამ ორივე სფეროსთან დაკავშირებული საკუთარი ცოდნა გამიზიარეს.

იოდლერები, წამყვანი მომღერლის შესახებ საუბრისას, ლაპარაკობენ „წინა მომღერალზე“ (Vorsänger), რომელიც იოდლის ინტონირებას მთავარი ხმით ახდენს და იწვევს სხვა შემსრულებლებს მონაწილეობის მისაღებად. სამთო ინსტრუქტორის მსგავსად, წინა ხმის მომღერალი განსაზღვრავს ჩარჩოს და მიმართულებას, პასუხისმგებელია შეს-

რულებული ნაწარმოების ტონალობაზე, ხასიათზე და ტემპზე და მას მოჰყვება მეორე ხმა. მესამე ხმამ შეიძლება თავისუფლად გადალახოს მყარი ნიადაგი პარალელური ან კონტრაპუნქტული მოძრაობით, ზოგჯერ ვირტუოზი მომღერლები იოდლის სამნაწილიან იმპროვიზაციას ქმნიან. ახლო მეგობარ მომღერალს — ისევე როგორც სანდო მთამსვლელ პარტნიორს — *Gspån*-ს უწოდებენ. ეს ტერმინი გულისხმობს ერთმანეთთან ისეთ გადაბმულობას, როგორიცაა ეტლსა და მასში შებმულ ცხენს შორის. გრეტლის მიერ რუბატოს სტილის მიმართ გამოყენებულ ტერმინოლოგიაში აშკარაა ანალოგია დაჭიმულ თოკთან: „anziehen und loslassen" (მოქაჩვა და მოშვება, განთავისუფლება).

გარკვეული აზრით, იოდლინგის „ენერგიული" კონცეპტუალიზაცია გრეტლის მიერ ახლოსაა ერნსტ კურცის მუსიკის ფილოსოფიის ესთეტიკურ და ანალიტიკურ ასპექტებთან. მის ინოვაციურ ნაშრომში "Grundlagen des linearen Kontrapunktes" (წრფივი კონტრაპუნქტის საფუძვლები), რომელიც 1917 წელს გამოიცა, მან ფიზიკის ტერმინის — „კინეტიკური ენერგია" — ანალოგიით და გრავიტაციის პრინციპის საფუძველზე ჩამოაყალიბე თეორია მელოდიური ენერგიის, ჰარმონიული დაძაბულობის და კინეტიკურ და რიტმულ იმპულსებს შორის განსხვავების შესახებ. ის „მელოდიის როგორც მდინარე მოძრაობის [Melodie als eine strömende Kraft] (1917: 10)", როგორც მძლავრი ძალის შესახებ საუბრობს, რომელიც ერთი ტონიდან მეორისკენ მიედინება. კურცი, ასევე, აღნიშნავს, რომ მოძრაობა ინტერვალებად მოითხოვს დისტანციების შეგრძნებას და რომ ტონის ინტენსიობა კორელაციაშია მასასთან. ვიბრატო, ორნამენტები და რუბატო მუსიკოსში, ისევე როგორც მსმენელში აღვივებს ენერგიებს, რომელთა მახასიათებლები შეიძლება აღვწეროთ როგორც ფსიქოლოგიური დაძაბულობის ნაკადი, რომელსაც ბიძგი მისცა მოძრაობის შეგრძნებამ დროსა და სივრცეში.

ის, რაც კურცისთვის ფილოსოფიური ცნება ან მეტაფორაა, ფიზიკურ რეალობაში მთამსვლელობაა. ტონიდან ტონამდე მძლავრი მელოდიის დაძაბულობა შეიძლება შევადაროთ მთამსვლელის მარშრუტს, ასვლას ვერტიკალურ ნაპრალებზე, ნაბიჯ-ნაბიჯ მოძრაობას. ცეკვასთან შედარებით, როცა სხეულებრივი ქცევა უშუალოდაა კოორდინირებული მუსიკასთან, იოდლინგი და მთებზე ასვლა ერთდროულად შეუძლებელია. მაგრამ საკუთარი შესაძლებლობების გაფართოება და შიშის დაძლევა, საკუთრი შესაძლებლობების ზღვარის გადალახვის სურვილი, გარისკვა და პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავსა და ალპინისტ პარტნიორზე, ასევე, გონებრივი და ფიზიკური მოქნილობა და ყურადღება, აშკარაა, რომ ახდენს გავლენას *Steiner Sänger*-ის შესრულებაზე, როგორც მაშინ, როცა ისინი მთის მწვერვალზე მღერიან, ასევე საკონცერტო დარბაზში გამოსვლისას.

სამთო ტურის არსებითი მომენტები

ქვემოთ მინდა გამოვყო ტრადიციული სამთო მარშრუტის სამი მნიშვნელოვანი ძირითადი მომენტი, რომლებიც სხვადასხვა ემოციური მდგომარეობების შედეგებია. ისინი ყველა ატარებს ერთი კონკრეტული იოდლის ნიშანს მისი კომუნიკაციური ფუნქციით და მისი ინდივიდუალური ექსპრესიული თვისებებით, მუსიკალური ჟესტებით და მუსიკალური ინტერაქციის მეთოდით.

1. კედლის ძირში — მოწესრიგება და დადასტურება: *the Aualmer*
2. მწვერვალზე — ენერგია და მანიფესტაცია: *the Gipfeljodler*
3. დუქანში — ვირტუოზულობა და ზეიმი: *the Schildernwanger*

1. კედლის ძირში - მოწესრიგება და დადასტურება

The *Aualmer*/*Südwandjodler* (აუდიომაგ. 1)

Aualmer-ის, ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ოჯახური იოდლის მისმენისას შეამჩნევთ მომღერლების უნარს კომუნიკაცია განახორციელოს მოსმენით და სპონტანური რეაგირებით, რაც სიმღერას საუბრის აქტად აქცევს, როგორც ზუსტად აღწერა გერლინდე ჰაიდმა (Gerlinde Haid).

იოდლი *Aualmer*-ს, რომელსაც დაშტაინის ძირში გაშლილი მინდვრის სახელი ჰქვია, გრეტლის მამა და მისი ძმა ირგი მღეროდნენ როგორც შესავალ ლოცვას სარისკო და რთული ასვლის დაწყებამდე. აღსანიშნავია, თუ როგორ ახერხებენ გრეტლი და ჰელი იმას, რომ მათ ინდივიდუალურ ხმებს შორის არსებული ცოცხალი დაძაბულობა ჩვენთვის გასაგები გახადონ. მომღერლები ამ პარალელურ ხმიან რვა ტაქტიან იოდლში ძლიერი რუბატოს, *inégalité*-ს და მიკრო ასინქრონულობების, რომლებიც ყოველთვის პულსის ძლიერ დარტყმებთანაა დაკავშირებული, მეშვეობით ელასტიკურობის და სტაბილურობის კონცეფიას ათამაშებენ.

ტრადიციულად Aualmer-ი იწყება საწყისი სოლო ფრაზით, რომელსაც უფრო დაბალი ხმა ასრულებს. როგორც დომინირების პერსონალური მიმართება, გრეტლი, რომელიც მომდევნო წლებში უფრო მაღალ ხმას მღეროდა, თავისი ხმის შესაფერისი სიმაღლის უზრუნველსაყოფად, თავიდანვე ახდენს ამ იოდლის ინტონირებას. ზუსტად საწყისი ფრაზის შემდეგ, გრეტლი ხტება ზედა მეორე ხმაზე. ეს შეიძლება დავახასიათოთ როგორც Steiner Singer -ის ხმის მოძრაობის ინდივიდუალური თვისება.

რიტმული ანტიციპაციების გამოყენებით (იხ. ჰელი: "ჯო-ჰ-ოუ", თითქოს ამბობს „მე პირველი ვიყავი აქ") და ლოცვის ტონების და ორნამენტების დაგრძელებით და შემოკლებით, ჰელი, თავისი უაღრესად მაღალი ხმით, თითქოს მკვირცხლად გადაივლის მყარ ნიადაგს, გრეტლის ინტენსიური ლეგატოთი მხარდაჭერილი და დაზღვეული. გადახრები ზუსტი ინტონაციიდან ჰელის შესრულებაში (იხ. Aualmer-ის ანალიზი რიტის ამბრაზევიჩიუსის მიერ ამ ტომში) სისტემატური ხასიათისაა. ისინი, ნაწილობრივ, შეიძლება აიხსნას იმით, რომ ექსპრესიული ინტონაციები ჰელის პირად გემოვნებას შეესაბამება.

2. მწვერვალზე — ენერგია და მანიფესტაცია

Gipfeljodler (აუდიომაგ. 2)

ეს იოდლი რიტუალურად სრულდება მთის მწვერვალის წარმატებული დაპყრობის შემდეგ, როგორც გამარჯვების აკუსტიკური სიგნალი. ზოგჯერ, მაღლა ღრუბლებში, ძალიან მცირე ზომის მოედანზე, კლდის კიდეზე მდგარნი, ისინი ხმამაღლა მღეროდნენ მას, რათა ველზე მცხოვრებთათვის ეცნობებინათ: „ჩვენ ეს შევძელით!".

რეალურად, მომდევნო ჩანაწერი ვენის საკონცერტო დარბაზში "Musikanten"-ის პრესტიჟულ ფესტიივალზე მათი პირველი მიწვევის დროსაა შესრულებული და მათი ცხოვრების მუსიკალურ მწვერვალს და შემობრუნების წერტილს წარმოგვიდგენს. მარტივი პარალელური 8-ტაქტიანი იოდლი იწყება მთვარი ხმით. რუბატოს თავბრუდამხვევი გამოყენების წყალობით, ის ჟღერს როგორს ძნიეფაცჰერ, რომლის ზომა იცვლება 3/4-დან 4/4-ზე და თავიდან იწყება. როცა გრეტლს გამორჩება თავისი მეორე შესვლა, ის ჰელის სიმღერას აწყვეტინებს, აბრალებს, რომ არასწორად მღერის და იწყებს თავიდან. ცნობილი ვენის საკონცერტო დარბაზის მაყურებელს უყვარდა შტეინერ შინგერ მათი სუნთქვისშემკვრელი გამბედაობის გამო და მომსწრე გახდა საერთშორისო მუსიკალური კარიერის დასაწყისასა 70+ ასაკში.

მათთვის პროგნოზირებადობით და მოულოდნელობით (მუსიკის ფსიქოლოგის დავიდ ჰარონის ტერმინებს თუ გამოვიყენებთ) და რისკით თამაში და ხუმრობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სრულყოფილი წარმოდგენა. გრეტლს არ უყვარს რეპეტიცია,

რადგან სურს, რომ დაძაბულობა არ განელდეს, რომ იგრძნოს ადრენალინის მოზღვავება. მისთვის შესაძლო მარცხის რისკი წარმოდგენას უფრო ინტენსიურს ხდის. „მოულოდნელის მოლოდინით“ დაძაბულობის შექმნის უნარს — როგორც ჰარონი (2006: 331) ამბობს, — და Steiner Singer თვით-გვემას და იუმორით სავსე ურთიერთობას აუდიტორიასთან გამაოგნებელ სასცენო სანახაობასთან მივყავდით.

3. დუქანში — ვირტუოზულობა და ზეიმი

Schildernwanger (აუდიომაგ. 3)

ეს იოდლი ჩაწერილია ფესტივალის მეორე დღეს ადრე დილით, ადგილობრივ დუქანში. კურტ შპეერი (Kurt Speer), ძველი მეგობარი, მსოფლიოში აღიარებული სამთო მეგზური და არაჩვეულებრივი მომღერალი იწყებს Schildernwanger -ს ენერგიული შესავალით. გრეტლი პარალელებით მიჰყვება, ჰელი კი თავისი ინდივიდუალური კონტრაპუნქტული მესამე ხმის მჟღერი, მაგრამ წყნარი ბგერით უერთდება. ასინქრონული სუნთქვა და რიტმულ პულსაციასთან კავშირის წყალობით ნაწარმოები თანაბარ ნაკადად მოედინება და დიდებულ, თუმც კი მხიარულ ხასიათს ავლენს.

შემთხვევითი არაა, რომ კურტის გზა მთამსვლელის კარიერისკენ ადგილობრივ დუქანში დაიწყო. სამუშაოს შემდეგ ცნობილი სამთო მეგზური უოლტერ ქრიოლი (Walter Kröll) მეორე დილის ლაშქრობისთვის პარტნიორებს ეძებდა, როდესაც მეგობარ მომღერალს იოდლის სიმღერით მიმართა, 15 წლის კურტი საკმაოდ თამამი და საზრიანი აღმოჩნდა, რათა მაშინვე მორგებოდა თავის პარტიას და შეექმნა ინდივიდუალური პარტია გამოცდილი და მომთხოვნი აუდიტორიის წინაშე. ასე აირჩიეს 15 წლის კურტი ლეგენდარული დაშტაინის სამხრეთ კალთის დასალაშქრად მეორე დღეს. ეს იყო ორი არაჩვეულებრივი მომღერლის და მთამსვლელის მეგობრობის დასაწყისი, რომელიც მთელი ცხოვრება გაგრძელდა.

დასკვნა

ჩემს მოხსენებაში შევეცადე მეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლება იოდლინგის ხელოვნება შინაგანად უკავშირდებოდეს უაღრესად განსხვავებულ ემოციურ მდგომარეობას, კომუნიკაციურ ფუნქციას, მუსიკალური ექსპრესიის და ინტერაქციის მეთოდებს, ისევე როგორც სოციალურად მნიშვნელოვან სიტუაციებს. ნათელი ხდება — ყოველგვარი დეტერმინიზმის გარეშე — თუ როგორ ემყარება ერთსა და იმავე საზიარო კულტურულ ცოდნას, სოციალურ უნარებს და ადამიანის თვისებებს აღმოსავლეთ ალპების ტრადიციული კულტურის ორი სფერო — იოდლინგი და მთამსვლელობა. ადგილობრივი შემსრულებლები ამ ორ სფეროს შორის მსგავსებებს უფრო უსვამენ ხაზს, ვიდრე განსხვავებებს.

ურთიერთობა იოდლინგსა და მთამსვლელობას შორის იმედისმომცემ პერსპექტივებს გვიხსნის მომავალი კვლევისათვის. მუსიკის ფსიქოლოგიამ შეიძლება ნათელი მოფინოს პარალელებს ორივე სფეროში, რომლებიც ინოვაციურად გაიაზრეს შტირიელმა მომღერლებმა და აგვიხსნას მის საფუძვლად მდებარე ადამიანური განწყობები და განხორციელებული ცოდნის ფორმები.

აუდიომაგალითები

1. ***Aualmer - Steiner Sänger***: მომღერლები გრეტლ შტაინერი და ჰელი გებაუერი. დილის სესია ჰაუზერის მომღერლების შეკრების შემდეგ ტავერნა კნაპლჰოფში. საველე ჩანაწერი, ჩაიწერა ე. ბანჰოლცერმა, 20.05.2001.

2. ***Gipfeljodler - Steiner Sänger***: მომღერლები გრეტლ შტაინერი და ჰელი გებაუერი. ავსტრიის რადიოს კორპორაციის (ORF) ცოცხალი. 23.11.1999, *Wiener Konzerthaus*.

3. ***Schildenwanger -****Steiner Sänger*: მომღერლები გრეტლ შტაინერი, ჰელი გებაუერი და კურტ სპიირი. დილის სესია ჰაუზერის მომღერლების შეკრების შემდეგ ტავერნა კნაპლჰოფში. საველე ჩანაწერი, ჩაიწერა ე. ბანჰოლცერმა, 20.05.2001.

4. ***Dachstoanjodler*** (იხ. ამ კრებულში რიტის ამბრაზევიჩიუსის ანალიზი სტატიაში *Some Acoustic Features of Austrian Yodeling*) Steiner Sänger: მომღერლები გრეტლ შტაინერი, ჰელი გებაუერი და ვილი მაიერი. ავსტრიის რადიოს კორპორაციის (*ORF*) ცოცხალი ჩანაწერი. 23.11.1999, *Wiener Konzerthaus.*